

საიდ. N80932/03

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა N52-03/16

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ - „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ს. მუჯირი (თავმჯდომარე), თ. ჯაფარიძე, უ. ოშხნელი, თ. კველიშვილის მდივნობით განიხილა შპს „ჯეომილი“-ს N52-03/16 სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მოითხოვება „სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვლის ნაწილის მიმართ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2016 წლის 16 მარტის N527/03 ბრძანების ბათილად ცნობა იმ ნაწილში, რომლითაც სასაქონლო ნიშანს „la Familia“ (საიდ. N80932/03) უარი ეთქვა რეგისტრაციაზე 29-ე, 30-ე, 31-ე, 32-ე და 35-ე კლასების საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის მიმართ და სასაქონლო

ნიშნის რეგისტრაცია საქონლისა და მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (29-ე, 30-ე, 31-ე, 32-ე და 35-ე კლასები).

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2016 წლის 16 მარტის N527/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, განცხადებულ სასაქონლო ნიშანს, „la Familia“ (საიდ. N80932/03) უარი ეთქვა რეგისტრაციაზე, ვინაიდან, მსგავსია საქპატენტში კომპანიის „GOL PAKHSH-E-AVAL“ სახელზე 29-ე, 30-ე, 31-ე, 32-ე და 35-ე კლასების მსგავსი საქონლისა და მომსახურებისათვის მადრიდის შეთანხმების ოქმით დაცული და საქართველოზე გავრცელებული კომბინირებული სასაქონლო ნიშნისა „Familia“ (საიდ. N49355, რეგ. თარიღი: 2007.09.02). ორივე სასაქონლო ნიშნის დომინანტი ელემენტია სიტყვიერი ნაწილები - „Familia“ და „Familia“. დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები შესრულებულია ლათინური ანბანით. განცხადებულ ნიშანში სიტყვიერ ჩანაწერს ახლავს აღნიშვნა - „La“, რომელსაც არსებითი სახელისთვის არტიკლის მნიშვნელობა აქვს და მას დამოუკიდებლად განმასხვავებლობა არ ენიჭება. მიუხედავად იმისა, რომ დაპირისპირებული ნიშნები სიტყვიერ ნაწილთან ერთად შეიცავს გამოსახულებით ელემენტს, ორივე ნიშანში დომინანტია სიტყვიერი ნაწილი. ნიშნებში გამოსახულებითი ელემენტების არსებობა ვერ უზრუნველყოფს მათ შორის საკმარის განმასხვავებლობას, ვინაიდან განცხადებულ და რეგისტრირებულ ნიშნებს შორის დიდია ფონეტიკური და ვიზუალური მსგავსება. აღნიშნულის გამო, განცხადებული

ნიშანი „la Familia“ (საიდ. N80932/03) „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, დარეგისტრირდა 33-ე კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ და უარი ეთქვა რეგისტრაციაზე 29-ე, 30-ე, 31-ე, 32-ე და 35-ე კლასების საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

აპელანტი შპს „ჯეომილი“ არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, სასაქონლო ნიშნის „la Familia“ (საიდ. N80932/03) რეგისტრაცია არ ეწინააღმდეგება „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონს, ვინაიდან არ არსებობს ამავე კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შედარებითი საფუძველი.

აპელანტის პოზიციით, განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი განსხვავდება ვიზუალური, ფონეტიკური და სემანტიკური თვალსაზრისით.

აპელანტის განმარტებით, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლი ითვალისწინებს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შედარებით საფუძველებს, ხოლო ამავე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, განმცხადებელს შეიძლება უარი ეთქვას ნიშნის რეგისტრაციაზე თუ იგი: „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა“. ვინაიდან, სასაქონლო ნიშნის ერთადერთი დანიშნულებაა, შესაძლებლობა მისცეს მომხმარებელს განასხვავოს ერთი მწარმოებლის პროდუქცია სხვა მწარმოებლის პროდუქციისაგან, მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის მთავარი არსია, რომ სასაქონლო ნიშანმა არ გამოიწვიოს აღრევა. აპელანტის განმარტებით, საქპატენტს არ ჰქონდა არავითარი მტკიცებულება იმისა, რომ აპელანტი კომპანიის პროდუქციამ გამოიწვია აღრევა კომპანიის „დთეკ ჰოლდინგს ლიმიტედ“

პროდუქციასთან და ვერც ექნებოდა რაიმე მტკიცებულება, ვინაიდან დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანები აბსოლუტურად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. იმ შემთხვევაში, როდესაც არ არსებობს ნიშნებს შორის აღრევის საშიშროება, გაუმართლებელია მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმა.

აპელანტის მითითებით, მიუხედავად იმისა, რომ სასაქონლო ნიშნების მსგავსებას ყოველთვის ახლავს სუბიექტური ფაქტორი, ნებისმიერი მომხმარებელი მარტივად განასხვავებდა დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშნებს. ფონეტიკურად „ლა ფამილია“ და „ფამილა“ აბსოლუტურად განსხვავებულად გამოითქმის. ვიზუალურად დაპირისპირებული ნიშნები აბსოლუტურად განსხვავებულია, როგორც ფერების, ასევე ასოების განლაგების მიხედვით. რაც შეეხება სემანტიკას, „ფამილას“ არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, ხოლო „ლა ფამილია“ ესპანურ ენაზე „ოჯახს“ ნიშნავს. შესაბამისად, სემანტიკური თვალსაზრისით დაპირისპირებულ ნიშნებს არაფერი აქვთ საერთო.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2016 წლის 16 მარტის N527/03 ბრძანების ბათილად ცნობას იმ ნაწილში, რომლითაც სასაქონლო ნიშანს „la Familia“ (საიდ. N80932/03) უარი ეთქვა რეგისტრაციაზე 29-ე, 30-ე, 31-ე, 32-ე და 35-ე კლასების საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის მიმართ და სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას საქონლისა და მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი (საიდ. N52-03/16) არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, „სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი - იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა“.

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ თავმჯდომარის 2014 წლის 19 აგვისტოს N05 ბრძანებით დამტკიცებული „სასაქონლო ნიშანზე განაცხადის წარდგენისა და რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ“ ინსტრუქციის მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, „სიმბოლოების მსგავსების დადგენის ძირითადი კრიტერიუმი შეიძლება იყოს სიმბოლოების სმენითი (ფონეტიკა, მუსიკალური ჟღერადობა), მხედველობითი (გრაფიკა, ფერთა შეხამება), აზრობრივი (სემანტიკა, არსი) მსგავსება. სიმბოლოების შედარებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საერთო შთაბეჭდილებას“. ამასთან, ნიშნების შედარებისას მხედველობაში მიიღება ნიშნის დაცვისუნარიანი და დომინანტი ელემენტები.

კოლეგიას მიაჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი



(საიდ. N80932/03) და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი



(საიდ. N49355) წარმოადგენს აღრევამდე მსგავს სასაქონლო ნიშნებს.

განცხადებული სასაქონლო ნიშანი



კომბინირებულია და

სიტყვიერ ელემენტებთან ერთად შეიცავს გამოსახულებას. ნიშნის სიტყვიერი ნაწილი „la Familia“ შესრულებულია მწვანე ფერში, სტილიზებული ლათინური ასოებით, სადაც ასო „F“ შესრულებულია ასომთავრულად ხოლო, გამოსახულებით ნაწილს

წარმოადგენს სიტყვიერი ნაწილის გარშემო შემოვლებული მწვანე და წითელ ფერებში შესრულებული გულის გამოსახულება.



დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი კომბინირებულია. ნიშნის სიტყვიერ ნაწილი „Famila“ შესრულებულია შავ ფონზე, თეთრი სტანდარტული ლათინური ასოებით, სადაც ასო „F“ შესრულებულია ასომთავრულად. სიტყვიერი ნაწილის თავზე დატანილია ნიშნის გამოსახულებითი ნაწილი - გვირგვინი.

დაპირისპირებულ ნიშნებში დომინანტი ელემენტია მათი სიტყვიერი ნაწილები „la Familia“ და „Famila“, რომლებიც აღრევამდე მსგავსია, რაც ზრდის ნიშნების აღრევისა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას.

ნიშნები მსგავსია ფონეტიკურად, რადგან განცხადებული ნიშანი ქართველი მომხმარებლის მიერ გამოითქმის, როგორც „ლა ფამილია“, ხოლო დაპირისპირებული ნიშანი, როგორც „ფამილა“. განცხადებული ნიშნის სიტყვიერი ნაწილი მართალია მოიცავს არტიკლს „la“, მაგრამ იგი ნიშნებს ვერ სძენს საკმარის განმასხვავებლობას. სიტყვიერ ნაწილებში „Familia“ და „Famila“ განსხვავებულია მხოლოდ ერთი ხმოვანი, რაც ზრდის დაპირისპირებულ ნიშნებს შორის მსგავსებას.

ნიშნებს შორის არსებული სემანტიკური განსხვავება დაპირისპირებულ ნიშნებს ვერ სძენს საკმარის განმასხვავებლობას, ვინაიდან, ნიშნები აღრევამდე მსგავსია, როგორც ვიზუალური, ისე ფონეტიკური თვალსაზრისით.

მსგავსია ასევე, დაპირისპირებული ნიშნების 29-ე, 30-ე, 31-ე, 32-ე და 35-ე კლასების საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალი.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, კოლეგიამ მიიჩნია, რომ აღრევამდე მსგავსია დაპირისპირებული ნიშნების დომინანტი ელემენტები და საერთო შთაბეჭდილება, რომელსაც დაპირისპირებული ნიშნები მოახდენენ მომხმარებელზე.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის N02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. შპს „ჯეომილი“-ს N52-03/16 სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ძალაში დარჩეს „სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვლის ნაწილის მიმართ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2016 წლის 16 მარტის N527/03 ბრძანება.
3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:

ს. მუჯირი

წევრები:

თ. ჯაფარიძე

უ. ოშხნელი